ხელშეკრულება
ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში რეაბილიტაციის ფარგლებში წყალმომარაგება-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაკვეთა-მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი

05 აგვისტო 2013 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404384974), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ტარიელ ცოფურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიკულტურა", (საიდენტიფიკაციო კოდი: 404874347) წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა გუნიავას სახით, ორმხრივი ნების თავისუფალი და სერიოზული გამოვლენით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტებით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით ვთანხმდებით შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, მისი მიზნებისათვის გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

1. დამკვეთი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "თბილისის განვითარების ფონდი";
2. შემსრულებელი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიკულტურა";
3. მხარეები – დამკვეთი და შემსრულებელი ერთობლივად;
4. სამუშაოები - ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში რეაბილიტაციის ფარგლებში წყალმომარაგება-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულების 1.1. პუნქტის შესაბამისად.
5. ხელშეკრულება – წინამდებარე წელშეკრულება;

1. სამუშაოები

1.1 შემსრულებელი შეასრულებს რიყის ტერიტორიაზე განთავსებული საბაგიროს სადგურის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, რომელთა დასახელება ერთეულის და ჯამური ფასები მოცემულია ხელშეკრულების N1 დანართში (ხარჯთაღრიცხვა).

1.2 სამუშაოების ჩამონათვალი შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) სახით შედგენილი იქნება შემსრულებლის მიერ და წარედგინება დამკვეთს.

1.3 შემსრულებელი სამუშაოებს შეასრულებს დამკვეთისგან მიღებული დავალებების და მითითებული ვადების გათვალისწინებით.

2. სამუშაოების ფასი

2.1. სამუშაოების ჯამური ფასი შეადგენს 981'621,26 (ცხრაასოთხმოცდაერთიათასექვსასოცდაერთი ლარი და 26 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელის, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

2.2. სამუშაოების საერთო ჯამური ფასი შემცირდება თუ შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა №2) მითითებული შესრულებული სამუშაოების ფასთა ჯამი ნაკლები აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებულ სამუშაოების ჯამურ ფასზე.

2.3. ანგარიშსწორების წესს ადგენს ხელშეკრულების მე-3 მუხლი.

6.8 - 35 258.48

3. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

3.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

3.2. სამუშაოების ფასის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემსრულებლის მიერ მითითებულ, მის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

3.3. ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება ხელშეკრულების 5.1. და 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტის მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

3.4. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი დაარღვევს სამუშაოების მიწოდების ვადებს, ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, დამკვეთი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

3.5. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

4. სამუშაოების შესრულების ვადები

4.1. სამუშაოები სრულად და ჯეროვნად უნდა დასრულდეს დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს ხელშეკრულების მოქმედების ვადისა.

4.2. სამუშაოები შესრულდება ეტაპობრივად ხელშეკრულების შესაბამისად.

5. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. დამკვეთის მიერ შესრულების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით დამკვეთისა და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს აქტს (ფორმა №2) და ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტის.

5.3. თუ შესრულებული სამუშაოები არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ პირობათა მოთხოვნებს, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე დამკვეთი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც შემსრულებელს აცნობებს წერილობით.

5.4. მისაღებია შესრულებული სამუშაოების აქტების წარმოდგენა ეტაპობრივად. შესაბამისად გაფორმდება მიღება-ჩაბარებაც.

6. სამუშაოების ხარისხი და გარანტია

6.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოები იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში. სამუშაოები უნდა ჩატარდეს იმ გარანტიით, რომ სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტებს 15 წლის განმავლობაში.

6.2. დამკვეთი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.3. შეტყობინების მიღების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში შემსრულებელს დაეკისრება, როგორც გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად დამკვეთის და/ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.4. თუ შემსრულებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, დამკვეთს უფლება აქვს უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება რისი ხარჯების ანაზღაუება დაეკისრება შემსრულებელს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. დამკვეთი ვალდებულია:

7.1.1. გადასცეს შემსრულებელს ინფორმაცია სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

7.1.2. მიიღოს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობათა დაცვით ხარისხიანად შესრულებული სამუშაოები.

7.1.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 დღის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს შემსრულებელს ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

7.2. დამკვეთს უფლება აქვს:

7.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2. წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა აქტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ფარგლებში;

7.3. შემსრულებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.3.2. სამუშაოების წარმოების პროცესში დაიცვას უსაფრთხოების დადგენილი ნორმები, განახორციელოს ყველა ზომა საკუთარი პერსონალისა და ნებისმიერი მესამე პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან ასარიდებლად სამუშაოების წარმოების პროცესში.

7.3.3. დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.4. შემსრულებელს უფლება აქვს მოთხოვოს დამკვეთს მიწოდებული სამუშაოს შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,2 პროცენტის ოდენობით მაგრამ არა უმეტეს ჯამური ფასის 10 პროცენტისა.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.4. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტით შეთანხმებული საგარანტიო ვადების განმავლობაში სამუშაოების ან/და გამოყენებულ მასალებში ნაკლის, დეფექტის, ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნაკლის, დეფექტის, ხარვეზის აღმოფხვრა, დამკვეთის მიერ საამისოდ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

9. შესრულების კონტროლი

9.1. დამკვეთი უფლებამოსილია სამუშაოების მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.

9.2. შესრულების კონტროლს დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფში შემავალი პირი/პირები.

9.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, დეფექტის ან შეუსაბამობის შესახებ დამკვეთი კომუნიკაციის ეფექტური საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4. გამოვლენილი დეფექტის, ნაკლის ან შეუსაბამონის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობათა შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ნორმატიული და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სხვა განსაკუთრებული გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულები პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება შესწორების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და საფუძველს მისი კოდიფიცირებისთვის.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. ხელსეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14.5 ხელშეკრულების წებისმიერი შესწორება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.6 ყველა დანართი და რომელიც შეთანხმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

14.7 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი" ს/კ 404384974	შპს "არქიკულტურა" ს/კ 404874347
თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ტარიელ ცოფურაშვილი	დირექტორი: გოჩა გუნიავა